

## ეკონომიკური კრიზისების თეორია თუ ეკონომიკური თეორიის კრიზისი?\*

### ელგუჯა მეჩავიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო  
elguja.mekvabishvili@tsu.ge

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური კრიზისი, გლობალური ფინანსური კრიზისი, კრიზისების „ნართილოვანი პროგნოზირება“, „პროგნოზირების დირექცია“, ეკონომიკის ფუნქციონირების „სტაციონარული რეჟიმი“

### „რატომ ვერ შეძლეს ეკონომისტებმა გლობალური ფინანსური კრიზისის პროგნოზირება“?

სტატიის ქვესათაურში გამოტანილი შეკითხვა გლობალური ფინანსური კრიზისის სიმწვავეთ შეშფოთებულმა დიდი ბრიტანეთის დელოფალმა ელიზაბეტ II-მ დაუსვა თავის თანამემამულე ეკონომისტებს – დიდი ბრიტანეთის აკადემიის წევრებს (British Academy Review, 2009). ამ შეკითხვამ ახალი იმპულსი შესძინა ეკონომიკური კრიზისების შესაძლებლობის და სხვა მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების ირგვლივ ეკონომისტთა შორის ერთ პერიოდში მიმავლელ დისკუსიას.

მკვლევარი ეკონომისტები ორ დაპირისპირებულ ჯგუფად გაიყო. ერთი ჯგუფის აზრით, გლობალური ფინანსური კრიზისი იყო ეკონომიკური თეორიის კრიზისის პირდაპირი შედეგი და გამოსატყულება. ეს მოსაზრება მკვეთრადაა ჩამოყალიბებული გერმანელი ეკონომისტების ა. კირმანის, დ. კოლანდერის, გ. ფემერის, ა. ხაასის, მ. გოდბერგის და სხვ. კოლექტიურ სტატიაში ნიშანდობლივი სათაურით – „ფინანსური კრიზისი და თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მარცხი“ (2010), რომელშიც აღნიშნულია, რომ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების *შესწავლა, განზოგადება და პროგნოზირება* (ხაზგასმა ჩვენია – ე.მ.), მათი აზრით, თანამედროვე ეკონომიკურმა მეცნიერებამ ვერ შეძლო ვერც ერთი ამ ამოცანის გადაწყვეტა და ამიტომ „ფინანსურ კრიზისთან ერთად ჩვენ ვხედავთ ეკონომიკური თეორიის კრიზისს“. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ნობელიანტი ეკონომისტი ა. სენი: „გიგანტური კრიზისის წინასწარმეტყველება და „ცუდად დაკემსილი“ ეკონომიკური სამყაროს ასხნა ვერ მოახერხეს ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლებმა“ (Sen, 2009). ასევე ნობელიანტი ეკონომისტი პროფ. რ. შილერი წერს: „2007-2008 წლების

გლობალური ფინანსური კრიზისისა და ღრმა რეცესიის შემდეგ ეკონომიკური პროფესიის კრიტიკა გაძლიერდა... და სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა – თუკი ეკონომისტებმა ვერ შეძლეს ადამიანთა კეთილდღეობაზე ასეთი დიდი ზეგავლენის მქონე მოვლენის წინასწარ განჭვრეტა, მაშინ რა სარგებელია მათგან?“ (Shiller, 2015). შილერი იმასაც დასძენს, რომ მსგავსი შემთხვევა პირველად არ მომხდარა. პირიქით: „ყოველთვის, როცა გასულ საუკუნეში კრიზისი მწიფდებოდა, ეკონომისტებს შორის ფართო კონსენსუსი სუფევდა, რომ არავითარი კრიზისი არ იქნება“. თვალსაჩინო პოლონელი ეკონომისტის გუ. კოლოდკოს აზრით, „ეკონომიკურმა თეორიამ ვერ მოახერხა გლობალური კრიზისის შინაგანი მიზეზების შესწავლა და მისი პროგნოზირება“ (Колодки, 2010). ლონდონის ეკონომიკის სკოლის მოწვეული პროფესორი ჯ. კეი წერს, რომ ეკონომისტების მანამდეც არც თუ ისე მაღალი რეპუტაცია საბოლოოდ შელახა 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა (Кей, 2012).

არანაკლებ ცნობილ ეკონომისტთა მეორე ჯგუფი საწინააღმდეგო პოზიციებზე დგას, რომელიც ყველაზე უფრო კატეგორიული ფორმით ჩამოაყალიბა ნობელიანტმა ეკონომისტმა თ. სარჯენტმა. იგი წერს, რომ ეკონომისტების დადანაშაულება გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებაში „მიუთითებს ან მათ აშკარა უცოდინრობაზე ან თანამედროვე მაკროეკონომიკური მეცნიერების საგნის შეგნებულ დამახინჯებაზე“ (Sargent, 2009). რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეკონომიკური კრიზისების პრობლემა დასავლეთელი ეკონომისტების მიერ არ შეისწავლებოდა, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ თავად ტერმინი „ეკონომიკური კრიზისი“ მათ ნაშრომებში გლობალური ფინანსური კრიზისისპერიოდში და მისი უშუალო ზემოქმედების შედეგად გაჩნდა.

ბრიტანეთის დელოფლის შეკითხვის პასუხად პროფ. პ. კრუგმანმა „ნიუ იორკ ტაიმსში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით – „რატომ დაუშვეს ეკონომისტებმა ასეთი შეცდომა“? მიზეზად მეცნიერი იმას მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში ბოლო პერიოდამდე გაბატონებული

\* კვლევის შედეგები მოსმენილ იქნა ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე „ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“

მიდგომა ამგვარი კრიზისის შესაძლებლობას პრინციპულად გამოირიცხავდა. შესაბამისად, კრიზისების მიზეზების კვლევა და, მით უმეტეს, მათი პროგნოზირების მცდელობა უნაყოფო საქმიანობად მიიჩნეოდა (Krugman, 2009). კრუგმანი აქ თავის მსჯელობაში თანმიმდევრულია და, ფაქტობრივად, იმ მოსაზრებას იმეორებს, რომელიც რამდენიმე წლით ადრე ჰქონდა გამოთქმული: ეკონომიკის არასტაბილურობა ნორმალური მოვლენაა, რომელსაც ცალკე კვლევა არ სჭირდება და ამიტომ მკვლევართა ყურადღება უნდა ფოკუსირდეს ეკონომიკური ზრდის საკითხებზე (Krugman, 2002).

თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერ-ეკონომისტმა, ფედი-ს ყოფილმა თავმჯდომარემ ბ.ბერნანკემ სპეციალური ტერმინი – „დიდი ზომიერება“ – მოიგონა, რომლითაც იგი ახასიათებდა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის უკრიზისო განვითარების პროცესს (Bernanke, 2004).

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ეკონომიკური კრიზისი „წარსულის მოვლენა“ (Lucas, 2003); „კაპიტალიზმის საყამწვილო სენია და არა მისი განვითარებული ფორმის დაავადება“ (Goldsmith, 2009) კრიზისები დამახასიათებელია მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის პერიფერიებისთვის (Rajan, 2010).

რა უდევს საფუძვლად ასეთ შეხედულებებს? ჩვენ აზრით, შესაძლებელია, სულ მცირე, სამი მიზეზის გამოყოფა.

პირველი უკავშირდება მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ორ პერიოდს: 1940–იანი წლების ბოლოდან 1970–იანი წლების დასაწყისამდე და 1980–იანი წლების შუახანებიდან 2000–იანი წლების დასაწყისამდე. აღნიშნული პერიოდები გამოირჩეოდა კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალი ტემპით და უწყვეტობით. პირველ პერიოდს წინ უძღოდა „დიდი დეპრესია“, რომელმაც ყველას დაანახვა, რომ „ეკონომიკის თავისთავად გამოჯანსაღების მოლოდინი უპასუხისმგებლო იყო“ (ბლანშარი, 2010). მეორე პერიოდის წინამორბედი იყო 1970–იანი წლების ე.წ. „ორმაგი“ – (ენერგეტიკული და ეკონომიკური) კრიზისი. კრიზისებიდან გამოსვლისა და რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში მიღწეული პოზიტიური შედეგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სხვადასხვა სირთულის ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენება იქნა მიჩნეული. ორი პერიოდის მოდელების პირველი თაობა კეინზიანურ მოდლებს ემყარებოდა, ანუ, როგორც ო. ბლანშარი შენიშნავს, „კეინზის ნააზრების მათემატიკურად ფორმულირებას“ (ო. ბლანშარი; 2010) წარმოადგენდა. მოგვიანებით, ეკონომეტრიკული მოდელები ნეოკლასიკურ თეორიულ მიმართულებას დაეფუძნა (RBC და DCGE მოდელები). ამ მოდელებს შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობდა<sup>1</sup>: კეინზისა და მისი მიმდევრების

აზრით, რყევების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა რეალური გამოშვების გადახრა მისი ბუნებრივი მოცულობიდან. „ახალი კლასიკოსების“ (რ. ლუკასი, თ. სერჯენტი, ფ. კუდლანდი, ე. პრესკოტი, რ. ბარო და სხვ.) აზრით, ეკონომიკურ რყევებს ძირითადად მოწოდების შოკები განაპირობებდა.

მეორე მიზეზის არსებობას საბაზრო ფუნდამენტალიზმის იდეოლოგია განაპირობებს, რომლისთვისაც ნიშანდობლივია საბაზრო ეკონომიკის მიმართ ანტიისტორიული მიდგომა ანუ იგი განიხილება როგორც მუდმივი მოცემულობა – დასაწყისის, გენეზისის და დასასრულის გარეშე. ნებისმიერი მოვლენა თუ პროცესი (ეკონომიკური კრიზისები კი სწორედ ამ ტიპის ფენომენია), რომელიც კითხვის ქვეშ აყენებს კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის მუდმივობას, იგნორირებულია ამ მიმართულების მკვლევართა მიერ.

მესამე მიზეზი დაკავშირებულია მეინსტრიმული ნეოკლასიკური თეორიების ჩარჩოში ეკონომიკური კრიზისების პრობლემის კვლევის მეთოდოლოგიასთან. ამ საკითხს ჩვენ უფრო დაწვრილებით შევხებით მოცემული ნაშრომის მომდევნო ნაწილში. ეკონომიკური კრიზისების თეორიის, საკვანძო და ყველაზე უფრო სადისკუსიო საკითხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიზისების პროგნოზირების შესაძლებლობაა, რასაც მკვლევართა უმეტესი ნაწილი კატეგორიულად გამოირიცხავს. რ. ლუკასი წერს: გლობალური ფინანსური კრიზისის პროგნოზი იმიტომ არ გაკეთდა, რომ ეკონომიკური მეცნიერება გვეუბნება: ასეთი მოვლენის პროგნოზირება შეუძლებელია (Lucas, 2009). მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს გრ. მენქიუ: „ეკონომიკური რყევები სულაც არ არის რეგულარული და თითქმის შეუძლებელია მათი თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით წინასწარმეტყველება“ (მენქიუ, 2008). „კრიზისების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია“ – წერს ამ პრობლემის ცნობილი რუსი მკვლევარი პროფ. ი.აკოვეცი (Яковец, 2004).

პროფ. ლ. გრიგორიევის რედაქტორობით გამოცემულ მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „საქმიანი ციკლის თანამედროვე თეორიის მთავარი ნაკლოვანება ის არის, რომ მან ნებაყოფლობით თქვა უარი კონიუნქტურის პროგნოზირებაზე (Григорьев, 2013). ასევე აღინიშნება, რომ „ციკლის თანამედროვე თეორია მიზნად არ ისახავს კრიზისების პროგნოზირებას“ (Энтов, 2009).

ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების შეუძლებლობის მტკიცებას გნოსეოლოგიური საფუძველი გააჩნია, რომლის ელემენტები ჩამოყალიბებულია ცნობილი ფილოსოფოსებისა და ეკონომისტების ნაშრომებში. საბოლოო ანგარიშით, საკითხი დაიყვანება ობიექტური რეალობის შესახებ სარწმუნო ცოდნის მიღების შეუძლებლობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ფ. ნაიტი წერს: „ცოდნის პრობლემა განპირობებულია მომავლის წარსულისგან განსხვავებით,

1 1978 წელს რ. ლუკასმა და თ. სარჯენტმა განაცხადეს: „...საქმიანი ციკლის შემსწავლელი თანამედროვე სტუდენტების ამოცანაა, გადააღვაწონ ნანგრევები, რათა განსაზღვრონ, თუ რა თავისებურებები შეიძლება გადარჩეს იმ შესანიშნავი ინტელექტუალური მოვლენისგან, რომელსაც

კეინზიანური რეველუცია ეწოდება. იპოვონ მისი საუკეთესო გამოყენება, ხოლო დანარჩენზე უარი თქვან“ (ბლანშარი, 2010).

ამ პრობლემის გადაჭრა კი მათ შორის მსგავსებაზეა დამოკიდებული“ (Найт, 2002)<sup>2</sup>.

გერმანული ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ლ. ფონ მიხესის აზრით, „ფილოსოფოსმა უნდა აღიაროს, რომ არ არსებობს წესი, რომლითაც ჩვეულებრივი მოკვდავი ცოდნას შეიძენს მომავლის შესახებ“ (Мизес, 2007).

ცნობილი ამერიკელი კეინზიანელი ეკონომისტი ჰ. მინსკი თავის ნაშრომებში ასევე იყენებს განუსაზღვრელობის და ალბათობის ცნებებს. იგი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა არსებობს დროში, რომელშიაც წარსული მოცემულობაა და შეუძლებელია მისი შეცვლა. *მომავალი კი გაურკვეველია და შეუცნობადი* (ხასგასმა ჩვენია - ე.მ.).

ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების საკითხის კვლევაში ჩვენ შემოგვაქვს „*წერტილოვანი*“ (*მუსტის პროგნოზირებას*) და „*პროგნოზირების დერეფნების*“ ცნებები და ვამტკიცებთ, რომ კრიზისების „წერტილოვანი პროგნოზირება“ ეკონომიკურ მეცნიერებას არ ძალუძს. ამასთანავე, ეს არ ნიშნავს ეკონომიკური კრიზისების შესაძლებლობის ხელაღებით უარყოფას. ნ. კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორიაზე დაყრდნობით შესაძლებელია მოვხაზოთ „პროგნოზირების დერეფნები“, რომლის ფარგლებში ეკონომიკის ვოლატილობის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია. ამ პერიოდებში („დერეფნებში“) უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მოხმარების და ინვესტიციების დინამიკა, ფასების დონის ცვლილება, წამყვან საფონდო ბირჟებზე აქციების კურსების მოძრაობა და ა. შ.) გაფაცვიცებით თვალის მიდევნებით შესაძლებელია კრიზისის დაწყების მეტ-ნაკლებად ზუსტი დროის განსაზღვრა.

„პროგნოზების კორიდორების“ გამოყოფა დაკავშირებულია კიდევ ერთ ისეთ მნიშვნელოვან კატეგორიასთან, როგორცაა ეკონომიკის ფუნქციონირების „სტაციონარული რეჟიმები“. ეს უკანასკნელი გულისხმობს გრძელვადიან პერიოდში მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შედარებით ერთგვარონი პერიოდების გამოყოფას, რომელთა დინამიკასაც მსგავსი მახასიათებლები გააჩნია. XX საუკუნეში შესაძლებელია რამდენიმე სტაციონარული რეჟიმის გამოყოფა:

I. „დიდი დეპრესიის“ პერიოდი, რომელიც გარჩეული იყო ეკონომიკის ღრმა და ხანგრძლივი დაცემით, ფასების მკვეთრი შემცირებით, უმუშევრობის ძალიან მაღალი

დონით, ერთობლივი მოთხოვნის უკიდურესი მოდუნებით. მიმდინარე პროცესებმა განაპირობა ეკონომიკური თეორიის პარადიგმალური ცვლილება: თვითრეგულირებადი ბაზრის თეზამ კრახი განიცადა. წარმოიქმნა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევასა და ერთობლივი მოთხოვნის გაზრდაზე ორიენტირებული კეინზიანური მოდელი, რომელსაც დაეფუძნა აშშ-ის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა – ფ. დ. რუზველტის „ახალი კურსის“ სახით.

II. დროის მონაკვეთი „დიდი დეპრესიიდან“ და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე. ამ პერიოდის შინაარსს განსაზღვრავდა „დიდი დეპრესიიდან“ საბოლოოდ გამოსვლისა და ომისგან დანგრეული ეკონომიკების აღდგენის აუცილებლობა. ეკონომიკურ თეორიაში გაბატონებული პოზიცია დაიკავა კეინზიანურმა დოქტრინამ. დღის წესრიგში დადგა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ციკლური რყევისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთშეხამების პრობლემა, რომლის გადაჭრის გზად ეკონომიკური მოდულების შემუშავება იქნა მიჩნეული. აღნიშნული პერიოდი „მაკროეკონომიკის ოქროს ხანადაა“ (ო. ბლანშარი) მიჩნეული. კეინზიანური თეორიის საფუძველზე წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები ახორციელებდნენ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებული იყო შრომითი შემოსავლების განუწყვეტელი ზრდისკენ და მათი შედარებით სამართლიანი განაწილებისკენ. ამასთან ერთად, დაბალპროცენტიანი კრედიტების მასობრივი მიწოდების გზით ხორციელდებოდა როგორც პირად მოხმარებაზე გაწეული, ასევე საინვესტიციო ხარჯების სტიმულირება. ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა ხელს უწყობდა ეკონომიკურ ზრდას.

III. მესამე „სტაციონარული რეჟიმი“ მოიცავს პერიოდს 1970-იანი წლების დასაწყისიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე. მისთვის დამახასიათებელი იყო „ორმაგი სანავთობე შოკი“ — 1972 და 1983 წლებში და მწვავე ეკონომიკური კრიზისი. აშშ-სა და სხვა წამყვანი ქვეყნების ეკონომიკაში ადგილი ჰქონდა მაღალ ინფლაციას<sup>3</sup> და სახელმწიფო ბიუჯეტის მწვავე ქრონიკულ დეფიციტს. წარმოიქმნა ახალი რთული ეკონომიკური მოვლენა, რომელსაც სტაგფლაცია ეწოდა. კეინზიანურმა დოქტრინამ კრიზისი განიცადა და აუცილებელი შეიქნა ეკონომიკური თეორიის პარადიგმის შეცვლა. მოთხოვნაზე ორიენტირებული კეინზიანური მოდელის ადგილი „ახალი კლასიკოსების“ (რ. ლუკასი, თ. სერჯენტი, რ. ბარო და სხვ.) მიწოდების ეკონომიკურმა თეორიამ (supply – side economics) დაიკავა. ეკონომიკური თეორიის პარადიგმალურმა ცვლილებამ შესაბამისი ცვლილებები გამოიწვია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობათა ეკონომიკურ პოლიტიკაში.

<sup>2</sup> ნაიტის თეორიის ფუნდამენტური ცნებაა განუსაზღვრელობა (Uncertainty), რომელიც წინააღმდეგობრივი ბუნების მატარებელია. ერთი მხრივ, განუსაზღვრელობა განაპირობებს შეცდომებს და, შესაბამისად, ქმნის პრობლემებს. მეორე მხრივ, მას სტაგნაციის მდგომარეობიდან გამოჰყავს საზოგადოება და ეს, მეცნიერის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. ნაიტისთვის განუსაზღვრელობა დინამიური წონასწორობის აუცილებელი პირობაა. აქედან გამომდინარე, იგი აკრიტიკებს როგორც წონასწორულ ნეოკლასიკურ მოდულებს, ასევე მართვაში კონსტრუქტივისტულ მიდგომებს.

<sup>3</sup> როგორც ცნობილი ამერიკელი მონეტარისტი ეკონომისტი ა. მელტცერი აღნიშნავდა: „აშშ-ის ეკონომიკა ინფლაციის ღრმა ორმოში ჩავარდა“ (Meltzer, 2005).



1980-იანი წლებიდან მ. ტეტჩერი - დიდ ბრიტანეთში და რ. რეიგანი - აშშ-ში ატარებდნენ ერთობლივი მიწოდების გაზრდაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებდა ინვესტირების წახალისების მიზნით მოგებასა და ხელფასებზე გადასახადების შემცირებას. განსაკუთრებული შედეგებით სარგებლობდა დიდი ბიზნესი. ასევე განხორციელდა ფართო პრივატიზებისა და ეკონომიკის საყოველთაო დერეგულირების პროცესები.

IV. მეოთხე სტაციონარული რეჟიმი 1990-იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს და გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე გრძელდება. ამ პერიოდში იწყება ეკონომიკის გლობალიზაცია, რაც საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ „გლობალური სტაციონარული რეჟიმის“ წარმოქმნაზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია სტაბილური ეკონომიკური ზრდა, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სწრაფი და ფართო გავრცელება (ეკონომიკის ფინანსებიზაცია და სეკურიტიზაცია), ფინანსური სფეროს საყოველთაო დერეგულირება. მეოთხე „სტაციონალური რეჟიმის“ პერიოდის ეკონომიკური თეორია ხასიათდება ნეოკლასიკურ თეორიამ დამყარებული რეალური საქმიანი ციკლის (RBC) მოდელების დომინირებით და „პატარა სახელმწიფოს“ დოქტრინის ფართო გავრცელებით.

V. მეხუთე სტაციონარული რეჟიმი იწყება 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისიდან. მისთვის დამახასიათებელია: მსოფლიო (გლობალური) ეკონომიკის დაცემის დიდი სიღრმე (ე.წ. „დიდი რეცესია“), რომელიც შეიძლება შედარდეს მხოლოდ 1930-იანი წლების „დიდ დეპრესიას“. საერთაშორისო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეებზე აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება, მათ შორის, ბანკებისა და საფინანსო ინსტიტუტების ე.წ. „რბილი ნაციონალიზაცია“, რაც პრინციპულად მიუღებელი იყო ლიბერალებისა და ლიბერტარიანელებისთვის. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურება გამოიხატა განსაკუთრებით ფინანსური სექტორის რეგულირების გაძლიერებაში. ეკონომიკურ თეორიაში გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, როგორც უკვე დავინახეთ, გამოიწვია მენისტრიმული ნეოკლასიკური თეორიის კრიზისი. დღის წესრიგში დადგა მორიგი პარადიგმალური ცვლილების აუცილებლობა, რაც ჯერჯერობით არ განხორციელებულა და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამჟამად ასეთი ცვლილების მოლოდინში ვიმყოფებით.

**მინისტრიმული „ნეოკლასიკური სკოლის“ მეთოდოლოგია და ეკონომიკური კრიზისების პრობლემა**

„ნეოკლასიკოსებად“ იწოდებიან ეკონომისტები (რ. ლუკასი, თ. სერჯენტი, რ. ბარო, ფ. კიუდლანდი, ე. პრესკოტი და სხვ.), რომლებიც უპირობოდ აღიარებენ ბაზრების

თვითრეგულირების პრიორიტეტულობას და დაუშვებლად მიიჩნევენ ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევას. ნეოკლასიკოსების ჯგუფს, გარკვეული პირობითობით, შეიძლება მივაკუთვნოთ მონეტარიზმის ფუძემდებელი მ. ფრიდმანი<sup>4</sup>.

ნეოკლასიკური თეორიულ-ეკონომიკური მიმართულების ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორიაა „ეფექტიანი ბაზარი“ (რ. ლუკასი). მას აყალიბებს ადამიანთა შორის ნდობა, რომელიც საფუძველად ედება საკონტრაქტო ურთიერთობებს, მათი ერთობლიობა კი ბაზრის კონსტიტუციას წარმოქმნის. კონტრაქტების ურთიერთხელსაყრელობა ეკონომიკურ სუბიექტებს იმაზე მიაჩნიათ, რომ ბაზარი შეფარდებით წონასწორობაშია და ეფექტიანად ფუნქციონირებს.

რ. ლუკასი წერს, რომ ეფექტიანი ბაზრების ჰიპოთეზიდან გადახვევა ძალიან უმნიშვნელოა (Lucas, 2004). რატომ? იმიტომ, რომ ე.წ. „რეპრეზენტატულ აგენტს“, რომელსაც ლუკასი და სხვა ნეოკლასიკოსები ეკონომიკური ურთიერთობის მთავარ სუბიექტად განიხილავენ, მაღალი ხარისხის ინფორმირებულობა ახასიათებს წარსულში განვითარებული პროცესებისა და აწმყოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. აღნიშნულის საფუძველზე მას უყალიბდება რაციონალური მოლოდინები, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს „რეპრეზენტატული აგენტის“ ოპტიმიზირებულ ქცევას.

რაციონალურობის მაღალი ხარისხის მქონე ეკონომიკურ სუბიექტს („რეპრეზენტატულ აგენტს“) შეუძლია მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება და, შესაბამისად, გარკვეული ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების გატარება. ნეოკლასიკოსების აზრით, რადგანაც ეკონომიკა რაციონალური სუბიექტებისგან შედგება, მიკროეკონომიკის დონეზე წონასწორობას აუცილებლად მივყავართ მაკროეკონომიკურ წონასწორობამდე. მაშასადამე, გამოირიცხება რა ეკონომიკის საერთო წონასწორობის დარღვევის რაიმე შინაგანი (ენდოგენური) მიზეზის არსებობა, მიიჩნევა, რომ სისტემის „სიმყუდროვე“ შეიძლება დაირღვეს მხოლოდ გარე (ეგზოგენური) ფაქტორის ზემოქმედებით. თუმცა, ეკონომიკურ სისტემას შესწევს თვითკორექტირების უნარი. წონასწორობის დარღვევა შემთხვევითია და ხანმოკლეა, მისი აღდგენა კი ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობს და არაა დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ ძალისხმევასთან. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, თეორიულად გამოირიცხება სერიოზული ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნის შესაძლებლობა. იგივე თეზისის დასაბუთებას ემსახურება კ. ეროუსა და ჟ. დებრეს მიერ შემუშავებული ე.წ. ორპერიოდიანი მოდელი, რომელიც

<sup>4</sup> ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ.კ. გელბრეიტი ფრიდმანის შესახებ წერდა: „იგი იყო და რჩება კლასიკური კონკურენტული ბაზრის მთავარ ამერიკულ დამცველად. მისი აზრით, ამ ბაზარს არასდროს განუცდია დაცემა იმ შემთხვევების გარდა, როცა მას ზიანი მიადგა არაკომპეტენტური მთავრობის ჩარევის შედეგად“ (მექვაბიშვილი, 2012).

თუმცა არ უარყოფს კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში სისტემური რისკების აღმოცენების შესაძლებლობას, მაგრამ გულისხმობს მათ გარკვეულ პრევენციას წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების (დერივატივების) გამოყენებით. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გაკეთდეს, ჩვენი აზრით, ორი მნიშვნელოვანი შენიშვნა. პირველი: ხსენებული მეცნიერების მიერ აგებული ეკონომეტრიკული მოდელი დაშვებათა ისეთ დიდ რაოდენობას შეიცავს, რომ მათი პრაქტიკაში გამოყენება შეუძლებელია. მეორე, როგორც ამერიკელმა მეცნიერ-ეკონომისტმა ჰ. მისნიკიმ თავის ნაშრომებში აჩვენა (Minsky, 1991; 1993; 1997) და პრაქტიკამ (განსაკუთრებით კი, გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილებამ) დაადასტურა, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსური ინოვაციები) კი არ ამცირებენ სისტემურ რისკებს, არამედ ნიღბავენ მათ და სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტზე ანაწილებენ (მექვაბიშვილი, 2018).

რეალური ბიზნეს (საქმიანი) ციკლის (RBC) თეორიები, რომელიც 1986–2005 წლებში დომინირებდა და შედარებით ბუსტად აღწერდა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ციკლურ ბუნებას, ასევე მთლიანად იყო მოქცეული ნეოკლასიკური მეინსტრიმის ჩარჩოებში, იმ განსხვავებით, რომ RBC მოდელში წამყვანი ადგილი დაიკავა ეკონომიკურ რყევებზე შოკების ზემოქმედების სხვადასხვა ასპექტის კვლევამ (Kydland & Prescott, 1982; King et al., 1988; Romer, 1999; Resolo, 2005; McCandless, 2008); Энтов, 2009 და სხვ.) წინა ნეოკლასიკურ მოდელში შოკების გათვალისწინება არ ხდებოდა. RBC თეორიებისთვისაც დამახასიათებელია წონასწორობის პრიმატის მტკიცება თვით ყველაზე ძლიერ შოკებთან მიმართებით. რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში საპირისპირო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. სხვადასხვა ტიპის (ტექნოლოგიური, სანაგებოთბე, მონეტარული, ფისკალური, საგარეო და ა.შ.) შოკები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკის ფუნქციონირებაზე და იწვევენ წონასწორობის მდგომარეობიდან მის მნიშვნელოვან და ხანგრძლივ გადახრას. ნეოკლასიკურ თეორიებში დაფიქსირებულ „რეპრეზენტატიული აგენტების“ და ბაზრების რაციონალურობას რეალურ ცხოვრებაში მათი უკიდურესი არარაციონალურობა ცვლის. ირაციონალურობა განსაკუთრებით ფინანსური ბაზრებისთვისაა დამახასიათებელი. ეს ტენდენცია გლობალიზაციამ გააძლიერა, რამაც თანამედროვე პირობებში რეგიონული და გლობალური კრიზისების გახშირება გამოიწვია.

**მთავარი დასკვნები**

თვითგანვითარებადი საბაზრო სისტემის შიგნით ყოველთვის წარმოიქმნება წინააღმდეგობები, რომელთა გადაჭრა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია დომინანტური სტრუქტურების ჩარჩოებში და არსებული სიტუაციიდან გამოსვლა

მხოლოდ კრიზისის გზითაა შესაძლებელი. ეკონომიკური კრიზისი საბაზრო ეკონომიკისთვის იმანენტურად დამახასიათებელი მოვლენაა, მისი არსებობის ისტორიულად განსაზღვრული ფორმაა.

კრიზისი წყვეტს რა სისტემის განვითარების წინანდელ ეტაპებზე დაგროვებულ წინააღმდეგობებს, ამასთანავე ახალი წინააღმდეგობების აღმოცენების წყაროცაა.

ბემოაღნიშნული თემისებიდან გამომდინარე, ჩვენ ვემიჯნებით იმ შეხედულებებს, რომლებიც ეკონომიკურ კრიზისებს წარსულის მოვლენად მიიჩნევენ (რ. ლუკასი, პ. კრუგმანი, გ. გოლდსმიტი და სხვები) და ყურადღების კონცენტრირებას ახდენს ეკონომიკური ზრდის პრობლემებზე.

ეკონომიკური რყევებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართების კვლევა, რომელსაც ჯერ კიდევ 1950-იანი წლების დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა რ. სოლოუმ, დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას. ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური კრიზისები არა მხოლოდ ეკონომიკური კატასტროფაა, არამედ ეკონომიკური თეორიის კრიზისული მდგომარეობის მაჩვენებელიცაა და პარადიგმალურ ცვლილებებს მოითხოვს.

XX საუკუნის მანძილზე და XXI საუკუნის დასაწყისში რამდენჯერმე დადგა ასეთი ცვლილების აუცილებლობა. პირველი მათგანი განაპირობა „დიდმა დებრესიამ“, რომელმაც თვალნათლივ აჩვენა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების სისუსტე და დღის წესრიგში დააყენა არარეგულირებადი თავისუფალი ბაზრის პოსტულატის კეინზიანური რეგულირების თეორიით შეცვლის აუცილებლობა.

მეორე უმნიშვნელოვანესი პარადიგმალური ცვლილება უკავშირდება 1970-იანი წლების დასაწყისს. მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის წამყვან ქვეყანაში – აშშ-ში განვითარებულმა ჯერ ენერგეტიკულმა და შემდეგ მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც გამოიხატა: ინფლაციის გაძლიერებაში, უმუშევრობის გაზრდაში, სახელმწიფო ბიუჯეტის მწვავე დეფიციტში და ისეთი, ახალი ეკონომიკური ფენომენის წარმოქმნაში, როგორიც იყო სტაგფლაცია, განაპირობა კეინზიანური თეორიის შეცვლა „ახალი კლასიკური“ ეკონომიკური თეორიით. მოთხოვნაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა „მიწოდების ეკონომიკით“ ჩანაცვლდა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების დოქტრინა შეცვალა „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ იდეოლოგიამ.

მესამე პარადიგმალური ცვლილების აუცილებლობა გამოიწვია გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა. იგი წარმოადგენდა თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში გაჩენილი დისბალანსების კანონზომიერ შედეგს. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის დიდი დისპროპორციის წარმოქმნა, ეკონომიკის საყოველთაო ფინანსებიზაცია, ვირტუალიზაცია და სეკურიტიზაცია – გლობალური ფინანსური კრიზისი

იყო გიგანტური მასშტაბებით ვალების დაგროვების და „სექურტიზაციის ეპოქის პირველი კრიზისი“ (პ. კრუგმანი).

კრიზისის პერიოდში ანტიკრიზისული პოლიტიკის გატარების და პოსტკრიზისული განვითარების მთავარ სუბიექტად სახელმწიფო მოგვევლინა, რამაც ძლიერი დარტყმა მიიყენა საბაზრო ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიას და მასზე დამყარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ახალი რეალობების გათვალისწინებით, ეკონომიკური თეორია ამჟამად დგას ახალი პარადიგმის შექმნის წინაშე, რაც ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს „ახალი სინთეზი“. „ძველი“ ანუ 1950-იანი წლების სინთეზისგან განსხვავებით, „ახალ სინთეზში“ წინა პლანზე წამოიწივს ახალი კეინზიანური პოსტულატები, რომლებიც ჩაანაცვლებს კლასიკური თეორიის პოსტულატებს. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ახალ (ნეო) კეინზიანურ სინთეზზე“, როგორც თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ახალ პარადიგმაზე.

ეკონომიკური კრიზისების თეორიის ერთ-ერთი ყველაზე სადისკუსიო ასპექტია მათი პროგნოზირების პრობლემა, რომლის კვლევაში ჩვენ შემოვიტანეთ „წერტილოვანი“ პროგნოზირების, „პროგნოზირების დერეფნის“ და ეკონომიკის

ფუნქციონირების „სტაციონარული რეჟიმის“ ცნებები. მათი ოპერირებით და ფილოსოფიის იმ გნოსეოლოგიური ასპექტის მოხმობით, რომელიც მდგომარეობს მომავლის შესახებ ზუსტი ცოდნის მიღების შეუძლებლობაში, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეკონომიკური კრიზისების „წერტილოვანი“ პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა „სტაციონარული რეჟიმების“ ჩარჩოებში გამოვეყოფთ კრიზისების „პროგნოზირების დერეფნებს“, სადაც ეკონომიკა განსაკუთრებული ვოლატილობით ხასიათდება. ასეთ მონაკვეთებში მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარამეტრებით სისტემატური დაკვირვების გზით შესაძლებელია ეკონომიკური კრიზისების მეტნაკლებად ზუსტი პროგნოზირება.

თანამედროვე კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ფინანსური მოდელის კრიზისი არ ნიშნავს ამ სისტემის ისტორიულ უპერსპექტივობას. კრიზისი განხილული უნდა იქნეს არა მხოლოდ უარყოფითი კონტექსტით, როგორც ცალსახად დესტრუქციული მოვლენა, არამედ როგორც „შესაძლებლობათა ფანჯარა“ – სისტემის განახლებისა და ახალ თვისობრივ მდგომარეობაში გადასვლის ინსტრუმენტი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. The Global Financial Crisis – Why Did’t Anybody Notice? (2009) // British Academy Review.
2. Кирман А., Коландер Д., Феммер Г., Хаас А., Годберг Н и др. (2010). Финансовый кризис и провалы современной экономической науки // Вопросы экономики, №6.
3. Sen A. (2009). Capitalism Beyond the Crisis // New Your Review of Books/ Vol. 56, N5.
4. შილერი რ. (2015). რა სარგებელია ეკონომისტებისგან? // <http://www.projectsindicate.org/commentary/are-economists-good-byrobert-j-shiller-2015.01>
5. Колодко Гж. (2010). Неолиберализм и мировой экономический кризис // Вопросы экономики, №3.
6. Кей Дж. (2012). Карта – не территория: о состоянии экономической науки // Вопросы экономики, №5ю
7. Sargent Th. (2010). Interview with Thomas Sargent // [http://www.minneapolisfed.org/publications\\_papers/pub\\_display.cfm?id=4526](http://www.minneapolisfed.org/publications_papers/pub_display.cfm?id=4526)
8. Krugman P. (2009).How Did Economics Get So Wrong? //The New York Times, Sept., N2.
9. Кругман П. (2009).Возвращение Великой Депрессии. Мировой кризис глазами 1. нобелевского лауреата.
10. Rajan R. (2010). Has Financial Development Made the World Risker // NBER Wor5king Paper. N1172.
11. ბლანშარი რ. (2010). მაკროეკონომიკა, თსუ გამომცემლობა.
12. Lucas R. (2009). In Defense of Dismal Science//The Economist, , Aug., 6. 2. <http://www.economistcom//noode1416>.
13. მენქიუ გრ. (2008). ეკონომიკის პრინციპები. „დიოგენე“.
14. Яковец Ю. (2004). Экономические кризисы: неизвежная реальность / Экономические стратегии, №1.
15. Мировая экономика в начале XXI века. (2013).Под ред. Л. Григорьева. /М.,Direct Media.
16. Энтов Р. (2009). Некоторые проблемы исследования деловых циклов. М.: Проспект.
17. Наит Ф.(2003). Риск, неопределённость, прибыль. М.: «Дело».
18. Мизес Л.Ф. (2000). Человеческая деятельность. Трактат по экономической теории. М.: Экономика.
19. Kydland, F. and E. Prescott (1982), “Time to build and aggregate fluctuations”, *Econometrica*, 50, 1345-1371.
20. MeltzerA. (2005). Originsofthe Great Inflation//Federal Reserve Bank of St. Louis Review, , vol. 87.
21. მექვაბიშვილის ე. (2012). თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები.

22. Minsky H. (1991). Financial Crisis: Systemic or Idiosyncratic. Jerome Levy Economic Institute. Bard College, Working Paper, N51, April.
23. Minsky H. (1993). Finance and Stability. The Limit of Capitalism. Jerome Levy Economic Institute. Bard College Working Paper, N93.
24. Minsky H. (1994). The Financial instability Hypothesis: Capitalist Processes and Economy. University of Michigan.
25. King R., Plosser C., Rebelo S. (1988). Production, Growth and Business Cycles // Journal of Monetary Economics, Vol. 21, N3.
26. Romer C. (1999). Changes in Business Cycles: Evidence and Explanations // Journal of Economic Perspectives. Vol. 13, N2.
27. Rebelo S. (2005). Real Business Cycle Models: Present, Past and Future // Scandinavian Journal of Economics, Vol. 107, N2.
28. McCandless G. (2008). The ABC's of RBC's: An Introduction to Dynamic Macroeconomic Models // Cambridge. MA London. England. Harvard University Press.

## ECONOMIC CRISIS THEORY OR ECONOMIC THEORY CRISIS?

### ELGUJA MEKVABISHVILI

Doctor of Economic Sciences, Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia  
elguja.mekvabishvili@tsu.ge

**KEYWORDS:** ECONOMIC CRISIS, GLOBAL FINANCIAL CRISIS, CRISIS “POINT OF FORECAST”, “PREDICTION CORRIDOR”, “STATIONARY MODES “ OF THE FUNCTIONING OF THE ECONOMY

### SUMMARY

The global financial crisis has brought a new impulse to the discussion of the problem of economic crisis. Economists have divided into two groups - one group believes the main reason for the crisis is the failure of economic theory. The second group thinks that economists have not been charged in the formation of economic crisis.

The most problematic aspect of the economic crisis is their prediction. Mainstream neoclassical economic theory completely excludes the possibility of predicting crises.

In the analysis of this issue, we use the concepts: “point prediction”, “prediction corridor”, “stationary regime” of economy functioning, and N. Kondratiev’s Great Cycles Conjunction Theory.

There is possible to define the “prediction’s corridors” within the stationary regimes of economy functioning. In these periods the economy is characterized with high quality of volatility. By observing the main economic indicators in these periods, we think, it is possible to predict the approximate date of the economic crisis.